



წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

N 36 18

განკარგულება

27/02/2020

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის მიერ 2019 წლის III-IV კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ მოისმინა ანგარიში, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის მიერ 2019 წლის III-IV კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ(თან ერთვის).

აღინიშნა, რომ წარმოდგენილი ანგარიში შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან და სათანადო დებულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის 'ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის' 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის N36 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. დამტკიცდეს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის ანგარიში 2019 წლის III-IV კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.

2. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის მიერ 2019 წლის III-IV კვარტალში გაწეული მუშაობა შეფასდეს დადებითად.

3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ქუთაისი, კუპრამის ქ. №11).

პაატა ახალაძე

საკრებულოს თავმჯდომარის მ.შ

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო



ანგარიში

**წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების
მართვის სამსახურის მიერ 2019 წლის III-IV კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ**

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახური მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ახორციელებს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების მუნიციპალური ქონების მონაცემთა ბაზის შექმნას და განახლებას; სახელმწიფო საკუთრების ქონების მუნიციპალურ საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებით საჭირო დოკუმენტაციის მომზადებაზე ზედამხედველობას, წინადადებებისა და საჭირო დოკუმენტაციის მომზადებას მუნიციპალური ქონების შექმნის, შექმნის, პრივატიზების ან სარგებლობაში გადაცემის საკითხებზე; რეკომენდაციების შემუშავებას მუნიციპალური ქონების პრივატიზებასა და სარგებლობის უფლებით გადაცემასთან დაკავშირებით; მუნიციპალური ქონების საპრივატიზებო ნუსხის პროექტის მომზადებას; საპრივატიზაციო ან სარგებლობით გადასაცემი ქონების დოკუმენტაციის მომზადებას; ელექტრონული აუქციონისათვის სათანადო დოკუმენტაციის მომზადებას; შეიმუშავებს წინადადებებს მუნიციპალიტეტის ძირითად (განუხვავებელი) ქონების გასხვისების შესახებ. მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის, სამოქმედო გეგმისა და პროგრამების მომზადების კოორდინაციას; უზრუნველყოფს არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი (იზოლირებული და არაიზოლირებული) ფართობის კანონიერი მოსარგებლებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის განხორციელებასთან დაკავშირებული ღონისძიებების განხორციელებას, ეკონომიკური განვითარების დაგეგმვისათვის სათანადო სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვებასა და დამუშავებას, მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარების პროგრამების პროექტების შედგენას, წინადადებების და საჭირო დოკუმენტაციის მომზადებას მუნიციპალიტეტის მონაწილეობით საწარმოების დაფუძნების, რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის საკითხებზე; ახორციელებს ასევე კანონმდებლობითა და მუნიციპალიტეტის სამართლებრივი აქტებით განსაზღვრულ სხვა ფუნქციებს.

2019 წლის III-IV კვარტალში სამსახურის მიერ შესრულებული იქნა შემდეგი სამუშაო:

სამსახურის მიერ მომზადებული დოკუმენტაციის საფუძველზე არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი (იზოლირებული და არაიზოლირებული) ფართობის კანონიერი მოსარგებლებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის განხორციელების მიზნით შექმნილი კომისიის მიერ დაკმაყოფილდა 8 განცხადება და გაიცა საკუთრების უფლების მოწმობა კანონიერი მოსარგებლებისათვის არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი (იზოლირებული და არაიზოლირებული) ფართობის უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ.

საკუთარი უფლებამოსილების განხორციელებისა და განკარგვის მიზნით სახელმწიფოდან გადმოცემული იქნა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში შემდეგი ქონება:

1. სოფელ გუმბრაში მდებარე 1730.0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა (საკ.კოდი N29.09.33.059).
2. სოფელ გუმბრაში მდებარე 5943.0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა (საკ.კოდი N29.09.38.274).
3. სოფელ გუმბრაში მდებარე 4643.0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა (საკ.კოდი N29.09.38.070).

4. სოფელ გუმბრაში მდებარე 567.39.0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა (საკ.კოდი N29.09.43.369).

5. სოფელ გუმბრაში მდებარე 370.0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა (საკ.კოდი N29.09.368).

6. სოფელ ოფშკვიტში მდებარე 30000.0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (საკ.კოდი N29.16.32.469).

7. სოფელ ხომულში მდებარე 3207.0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (საკ.კოდი #29.09.35.449).

8. წყალტუბო-ქუთაისის საავტომობილო გზის მიმდებარედ არსებული 1427.0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (საკ.კოდი N29.08.42.112).

9. ქალაქ წყალტუბოში, 9 აპრილის ქუჩა, მე-3 შესახვევი, N12-ში მდებარე 10500 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (საკ.კოდი N29.08.34.144).

10. ქალაქ წყალტუბოში, 9 აპრილის ქუჩა N15-ში მდებარე 3891.0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი.

11. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ გეგუთში მდებარე 25.0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი.

12. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ თერნალში მდებარე 1284.0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი.

სამსახურის მიერ მომზადებული დოკუმენტაციის საფუძველზე უზუფრუქტის ფორმით გაცემული იქნა შემდეგი ქონება:

- საყულიაში მდებარე მუნიციპალური შენობის მე-2 სართულზე განთავსებული 331.0 კვ.მ ფართი, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაეცა ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანებას“

-ქალაქ წყალტუბოში რუსთაველის ქუჩა N25-ში მდებარე შენობის პირველ სართულზე განთავსებული 16.7 კვ.მ ფართი, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაეცა სსიპ „იურიდიული დახმარების სამსახურს“.

ქალაქ წყალტუბოში, აღმაშენებლის ქუჩის მიმდებარედ არსებული 700.0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაეცა, სსიპ „საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრს“.

სამსახურის მიერ მომზადებული დოკუმენტაციის საფუძველზე, ელექტრონული აუქციონისა და პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარით იქნა გაცემული შემდეგი ქონება:

1.სოფელ ყუმისთავში მდებარე 1039 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი პირობებიანი ელექტრონული აუქციონის ფორმით გაცემულ იქნა გარე ვაჭრობისათვის მიწის ნაკვეთის გამოყენების მიზნით.

2. 54 ერთეული ხაზოვანი ნაგებობა (გარე განათების ბოძები) იჯარით პირადაპირი განკარგვის წესით გადაეცა შპს „მაგთიკომს“ ოპტიკურ ბოჭკოვანი კაბელის გატარების მიზნით.

ელექტრონული აუქციონის წესით გასხვისებული იქნა მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 40.5 კვ.მ შენობა-ნაგებობა (ნახევარ სარდაფი) მდებარე ქალაქ წყალტუბოში წერეთლის ქუჩა N11-ში.

სამსახურის მიერ განხორციელებულ იქნა ეკონომიკური განვითარების დაგეგმვისათვის სათანადო სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვება, დამუშავება და წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე „მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტის შედგენის მეთოდოლოგიის“ დოკუმენტზე დაყრდნობით, გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP), დანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს, შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოსა (SDC) და ავსტრიის განვითარების თანამშრომლობის (ADC) მხარდაჭერით მომზადდა წყალტუბოს

მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი სტრატეგიული დოკუმენტის პროექტი, რომელიც დამუშავების პროცესშია.

სამსახური ახორციელებს სარგებლობის უფლებით, იჯარით გადაცემული მუნიციპალური ქონების მოსარგებლებებისაგან საიჯარო თანხის გადახდის მონიტორინგს. ამ პერიოდში მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში (შენობა-ნაგებობები) იჯარის ფორმით გადაცემული ხელშეკრულებით შეტანილმა თანხამ შეადგინა 38779 ლარი, ხოლო მიწის იჯარით 9584 ლარი. მიწის გაყიდვით შემოსულმა თანხამ შეადგინა -21.708 ლარი, შენობა-ნაგებობის გაყიდვით შემოსულმა თანხამ შეადგინა -11.110 ლარი.

სამსახურის აგრარულ საკითხთა განყოფილება აქტიურადაა ჩართული ფაროსანას წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებებში. ამასთანავე ყოველკვირეულად იმერეთში სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციას მიეწოდება ინფორმაცია ფაროსანას წინააღმდეგ განხორციელებული წამლობების შესახებ.

განყოფილების მიერ მომზადებული დოკუმენტაციის საფუძველზე სოფლის მოსახლეობას გაეწიათ შუამდგომლობა შპს „მელიორაციის“ მიმართ.

მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახური ახორციელებს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოსთან არსებული თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის მასალების აღრიცხვა-რეგისტრაციას, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოსთან არსებული აღიარების კომისიის მიერ სხდომაზე განსახილველი მასალების-დოკუმენტაციის და განკარგულების პროექტების მომზადებას.

გარდა ზემოაღნიშნულისა, სამსახური ახორციელებს მოქმედი კანონმდებლობით, მერიის დებულებით, მერის დავალებით და მუნიციპალიტეტის სხვა სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული ფუნქციების განხორციელებას.

პაატა ახალაძე



საკრებულოს თავმჯდომარის მ.შ

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო